ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 459

"22" სექტემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გამზირი გამსახურდია № 3-ის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.032.009) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით თამაზ შეროზიასთვის (პ/ნ. 01024015000) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გამსახურდიას გამზირი №3-ის მიმდებარედ 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.032.009) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ შეროზიასთვის (პ/ნ. 01024015000) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის №23.1376.1499 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გამზირი გამსახურდია, №3-ის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით თამაზ შეროზიასთვის (პ/ნ. 01024015000) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 296 (ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე